



ზღვიდან მთებამდე — მცენარეების გამოყენება აჭარაში, სამეგრელოსა და ქვემო სვანეთში

რაინერ ვ. ბუსმანი, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა, შალვა სიხარულიძე, ზაალ კიკვიძე, მაია დარჩიძე, ზურაბ მანველიძე, ჟანა ეხვია, დავით ქიქოძე, დავით ჭელიძე, მანანა ხუციშვილი, ქეთევან ბაცაცაშვილი, რობი ე. ჰარტი

Repatriation - Research

თავდაპირველად გამოქვეყნდა: (Bussmann, R.W., Paniagua Zambrana, N.Y., Sikharulidze, S., Kikvidze, Z., Darchidze M, Manvelidze Z, Ekhvaia J, Kikodze, D., Tchelidze, D., Khutsishvili, M, Batsatsashvili, K., Hart, R.E. (2020). From the sea to the mountains - plant use in Ajara, Samegrelo and Kvemo Svaneti, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Ethnobotany Research and Applications* 20(9) doi: 10.32859/era.20.9.1-34.)

აბსტრაქტი

აჭარა, სამეგრელო და ქვემო სვანეთი საქართველოს ისტორიული მხარეებია, განლაგებული დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილის სამხრეთი მაკრო-ფერდობებსა (სამეგრელო და ქვემო სვანეთი) და მცირე კავკასიონის დასავლეთში, შავი ზღვამდე (აჭარა). ჩვენი შრომა სწავლობდა მცენარეთა ტრადიციულ გამოყენებას ამ რეგიონებში. სავსე სამუშაოები ჩატარდა 2014 წლის ივლის-აგვისტოსა და 2019 წლის ივნის-ნოემბერში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოიკითხა 84 რესპონდენტი (40 ქალი და 44 კაცი), მათგან წინასწარი სიტყვიერი თანხმობის მიღების შემდეგ, კვლევის რეგიონში აღრიცხული იქნა 276 მცენარის სახეობა, რომლებიც 181 გვარსა და 88 ოჯახს ეკუთვნის, ასევე 3 სოკოს სახეობა კიდევ 5 სოკო, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა, მთლიანობაში სულ ცოტა 9 გვარის და 7 ოჯახის სოკო. აღინუსხა ასევე მღიერის 1 სახეობის გამოყენება. ამათგან, 163 სახეობა ველურად გროვდებოდა, 114 ბალ-ბოსტნებში მოყავდათ, ხოლო 18 გროვდებოდა როგორც ველურ ბუნებაში, ისე ბალ-ბოსტნებში.

გამოყენებული მცენარეების სახეობები რეგიონის შიგნით უმთავრესად თანხვედრილი იყო, ოდნავ მეტი იყო სხვაობები მცენარეთა გამოყენებაში.

გარემოზე მორგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ცვალებადობის დიდი ნაწილი აიხსნება მონაწილეთა სოფლების მდებარეობით.

Correspondence

რაინერ ვ. ბუსმანი¹, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა¹, შალვა სიხარულიძე¹, ზაალ კიკვიძე², მაია დარჩიძე³, ზურაბ მანველიძე³, ჟანა ეხვია⁴, დავით ქიქოძე¹, დავით ჭელიძე¹, მანანა ხუციშვილი¹, ქეთევან ბაცაცაშვილი⁴, რობი ე. ჰარტი⁵

¹ბოტანიკის ინსტიტუტი და ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი, ეთნობოტანიკის განყოფილება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბოტანიკური ქ. 1, 0105 თბილისი
²ეთნობიოლოგიისა და სოციო-ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი
³ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მწვანე კონცხი, ბათუმი 6400

⁴ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი

⁵William L. Brown Center, Missouri Botanical Garden, PO Box 299, St. Louis, MO 63166-0299, USA

*საკონტაქტო ავტორი, ელ.ფოსტა: rainer.bussmann@iliauni.edu.ge

Ethnobotany Research & Applications
20:50 (2020)

ზღვის დონიდან სიმაღლე მნიშვნელოვნად ხსნიდა მცენარეთა სახეობების ორდინაციას, მაგრამ ვერ ხსნიდა სხვაობებს ამ მცენარეთა გამოყენებაში. მონაწილეთა სქესს არ ქონდა მნიშვნელობა არც მცენარეთა ორდინაციისთვის, არც მათი გამოყენების კატეგორიათა ორდინაციისთვის.

გასაღები სიტყვები: კავკასია, ეთნობოტანიკა, მცენარეთა გამოყენება, ტრადიციული ცოდნა, პოსტსაბჭოთა განვითარება

შესავალი

საქართველო გამოირჩევა კულტურული და მათი მონათესავე ველურ მცენარეთა დიდი სახეობრივი მრავალფეროვნებით, ხოლო მცენარეების გამოყენება სამკურნალო მიზნებით მეტად გავრცელებულია (Akhalkatsi *et al.* 2018a,b), რასაც

ათასწლეულობით ისტორია აქვს (McGovern *et al.* 2018). მცენარეებს იყენებენ მრავალგვარი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები (Söderlind 2015). აჭარა, სამეგრელო და ქვემო სვანეთი საქართველოს ისტორიული მხარეებია, დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილის სამხრეთი მაკროფერდობებსა (სამეგრელო და ქვემო სვანეთი) და მცირე კავკასიონის დასავლეთში შავი ზღვისკენ (აჭარა) (Kordzakhia and Javakhishvili 1971) (ნახ. 1).



ნახ. 1. კვლევის რეგიონი.

ამ რეგიონების მცენარეულობა მოიცავს მთის ტყეებს, სუბალპურ, ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ ზონებს და ხასიათდება მცენარეულობის ვერტიკალური სარტყლიანობის დასავლეთ კავკასიური, ანუ კოლხური ტიპით (Gagnidze and Davitadze 2000; Zazanashvili *et al.* 1999). მოსახლეობის უმრავლესობა მეტყველებს ქართულად და ადგილობრივ კილოკავებსა და ენებზე — მეგრულად, სვანურად, ზოგ შემთხვევაში ლაზურად, რომლებიც ყველა იბერიულ-კავკასიურ ენების ოჯახს მიეკუთვნება (Beridze *et al.* 2003).

აჭარა, ოფიციალურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, არის საქართველოს ისტორიული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეგიონი. მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ-სასავლეთ კუთხეში

და ზღვისპირიდან მცირე კავკასიონის მთებზე ვრცელდება, თურქეთის ჩრდილოეთით.

აჭარა კოლხეთისა და კავკასიის იბერიის უძველესი ნაწილია. ჩვ.წ-მდე V საუკუნეში აქ გაჩნდა ბერძნული კოლონიები, ხოლო II საუკუნეში რომაელების მმართველობის ქვეშ იყო. ჩვ.წ. VIII საუკუნეში აჭარა მოექცა აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში, შემდეგ კი, XI საუკუნეში გახდა მთლიანი საქართველოს სამეფოს ნაწილი. ოსმალებმა აჭარა დაიპყრეს 1614 წელს და აჭარელი მოსახლეობა თანდათან გამაჰმადიანდა. 1878 წ. ოსმალეთი იძულებული გახდა დაეთმო აჭარა რუსეთის იმპერიისთვის. აჭარა დროებით ოკუპირებული იყო თურქეთისა და ბრიტანეთის არმიების მიერ 1918–1920 წლებში, 1920 წელს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

ნაწილი გახდა. საბჭოთა პერიოდში აჭარა იყო ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს, აჭარა არის დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი. მხოლოდ 2007 წ. მოხერხდა რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა ბათუმიდან.

აჭარა ცნობილია თავის ნოტიო ჰავით (განსაკუთრებით სანაპირო ნაწილში) და ხანგრძლივი წვიმიანი სეზონით. რეგიონში ნალექები უმაღლესია საქართველოს და კავკასიის სხვა რეგიონებთან შედარებით. საერთოდ აჭარის რეგიონი, რომელშიც მინიმალური ნალექები 2200 მმ-ს აღემატება, ერთ-ერთი ყველაზე წვიმიანია ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ზომიერ ნაწილში. მესხეთის ქედის დასავლეთი ფერდობები ზღვიდან მონაზერი ქარების მეშვეობით 4500 მმ ნალექს იღებს წელიწადში. აჭარის შიდა რაიონები გაცილებით უფრო მშრალია, ვიდრე ზღვისპირეთის მთები ან დაბლობი. ზამთრობით აჭარის მაღალმთიან რაიონებში ნალექები ჩვეულებრივ უხვად მოდის და თოვლის საფარის სისქე რამოდენიმე მეტრს აღწევს. ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა 22–24°C დაბლობში და 17–21°C მთებში. აჭარის ყველაზე მაღლა მდებარე ადგილებში ტემპერატურა კიდევ უფრო დაბალია. ზამთრის საშუალო ტემპერატურაა 4–6°C სანაპირო ზოლში, მაგრამ ბევრად ნაკლებია შიდა რაიონებში: -3–2 °C.

ქვემო სვანეთი, ცხენისწყლის ზემო წელში მდებარეობს და ადმინისტრაციულად რაჭა-ლეჩხუმს ექვემდებარება. ლანდშაფტებში გაბატონებულია ღრმა ხეობებით გაყოფილი მაღალი მთები. რეგიონის დიდი ნაწილი, ზღვის დონიდან 1800 მ-ზე დაბლა, დაფარულია შერეული და წიწვოვანი ტყეებით. ტყეების ზონაში ვხვდებით ნაძვს (*Picea orientalis*), სოჭს (*Abies nordmanniana*), წიფელს (*Fagus orientalis*) და რცხილას (*Carpinus orientalis*). ზღვის დონიდან 1800 მ-ზე მაღლა დაახლ. 3000 მ-მდე მცენარეულობა სუბალპური და ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. ჰავა სვანეთში ნოტიოა და შავი ზღვიდან მონაზერი ჰაერის მასების გავლენის ქვეშა მთელი წელი. წლიური ნალექები 1000-დან 3200 მმ-მდეა. სვანეთის ყველაზე დაბლა მდებარე რაიონების ჰავა ხასიათდება ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით და შედარებით ცივი და თოვლიანი ზამთრით. ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მაღლა მდებარე რაიონებში ზაფხული მოკლე (სამ თვეზე ნაკლები) და გრილია, ზამთრები კი გრძელი და ცივი.

ქვემო სვანეთი თავიდან კოლხეთის, შემდეგ აფხაზეთის სამეფოს ნაწილი იყო, XI საუკუნიდან კი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია. მონღოლების შემოსევები ვერ აღწევდა სვანეთამდე და გარკვეული დროით ეს კუთხე იქცა ქართული

კულტურის საცავად. როცა საქართველოს სამეფო საბოლოოდ დაიშალა 1470 წელს, ზემო სვანეთი დამოუკიდებელ სამთავროდ, ქვემო სვანეთი კი დროებით სამგრელოს ნაწილად იქცა. მივარდნილობის გამო რეგიონმა საკმაო ავტონომია შეინარჩუნა 1857 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერია იქ თავის სრულ ხელისუფლებას დაამყარებდა.

სამეგრელო საქართველოს დასავლეთში მდებარე ისტორიული მხარეა, რომელსაც ადრე ოდიშს უწოდებდნენ. უმთავრესად დასახლებულია მეგრელებით, რომლებიც თავიანთ საკუთარ ენაზე მეტყველებენ. ეს ენა ქართველური ენების ოჯახში შედის, ქართულთან, ლაზურთან, ჭანურთან და სვანურთან ერთად. შავ ზღვასთან მიმდებარე საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, სამეგრელოს ჰავა ახლოა სუბტროპიკულთან და ხშირად წვიმს. სანაპირო ზოლში ბევრია ჭაობი, მიუხედავად მათი დაშრობის მცდელობისა საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ძველ დროში სამეგრელო წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს (ჩვენს ნელთაღრიცხვამდე XI-VI საუკუნეები), შემდეგ კი ეგრისის (ჩვენი წელთაღრიცხვის IV-VI საუკუნეები) მთავარ ნაწილს. XI-XV სამეგრელო იყო საქართველოს დიდი სამეფოს ნაწილი. XVI საუკუნიდან 1857 წლამდე სამეგრელოს დამოუკიდებელ სამთავროს დადიანები მართავდნენ. 1803 წლის დეკემბრიდან სამეგრელოს სამთავრო იყო რუსეთის იმპერიის პატრონაჟის ქვეშ და 1867 წელს შეუერთდა რუსეთის იმპერიას. 1918-1921 წლებში სამეგრელო შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1991 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილია.

ამ შრომაში ჩვენ აღვწერთ მცენარეების ტრადიციულ გამოყენებას აჭარაში, ქვემო სვანეთსა და სამეგრელოში. კვლევა ნარიმართა შემდეგი ჰიპოთეზების შესამოწმებლად: (1) მცენარეების ცოდნა მეტია ზღვის დონიდან მაღლა მდებარე, იზოლირებულ სოფლებში, (2) ბალ-ბოსტნების გაშენებას უფრო ზღვის დონიდან დაბალ სიმაღლეებზე მისდევენ და (3) ბალახოვანი მცენარეებს ფხლად უფრო მაღლა მდებარე სოფლებში იყენებენ.

მასალა და მეთოდები

ეთნობოტანიკური გამოკითხვა

საველე სამუშაოები ჩატარდა 2014 წლის ივლის-აგვისტოსა და 2019 წლის ივნისსა და ნოემბერში. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარებით გამოკითხა 84 მონაწილე (40 ქალი და 44 კაცი), წინასწარი სიტყვიერი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. მონაწილეები შეირჩეოდა ჯაჭვური მეთოდით და ვცდილობდით

დაგვეცვა ბალანსი ასაკობრივ ჯგუფებსა (25-96 წ.) და სქესს შორის. მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობა მაინც 45 წელზე უხნესი იყო, რადგან საქართველოს მივარდნილ სოფლებში ძალიან ცოტაა ახალგაზრდები. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილის სახლსა და ბოსტანში, ქართულად და ადგილობრივ დიალექტებზე. ბაღ-ბოსტნის მცენარეები გამოიყენებოდა საუბრის დასაწყისად, ველური მცენარეების სახელები კი თავისუფალი ჩაწერით აღირიცხებოდა. ტყის (ანუ ველური) და ბაღ-ბოსტნის (ანუ შინ მოყვანილი) მცენარეები ირკვეოდა ადგილზევე, არსებული ლიტერატურის მიხედვით (საქართველოს ფლორა 1971-2011; მაყაშვილი 1952-1953), ნიმუშები გროვდებოდა და ინახება საქართველოს ეროვნულ ჰერბარიუმში (TBI). ყველა სახეობის ნომენკლატურა მისდევს Tropicos (Angiosperm Phylogeny Group 2009, <http://www.tropicos.org>). სოკოების ნომენკლატურა მისდევს MycoBank-ს (<http://www.mycobank.org>). მცენარეთა ქართული დასახელებების სტანდარტად ვიყენებდით მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონს (1991).

სტატისტიკური ანალიზი

მონაწილეთა დაშორებას ვითვლიდით არამეტრული მრავალგანზომილებიანი მასშტაბირებით ორდინაციის ორ, მცენარეებისა და მათი გამოყენების, მატრიცებში. პირველ მატრიცაში სვეტები წარმოადგენენ მცენარეებს, მეორეში კი ამ მცენარეების გამოყენების კატეგორიებს. მიღებულ ორდინაცია ერთმანეთთან ახლოს განალაგებს იმ მონაწილეებს, რომლებიც ერთსა და იმავე მცენარეებს და მათი გამოყენების მსგავს კატეგორიებს ასახელებენ. შემდეგ, ორდინაციის ამ სივრცეებს მოვარგებდით სხვადასხვა გარემო ვექტორებს (სოფლის სახელი, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან) და ფაქტორებს (სქესი, ასაკობრივი ჯგუფი), რომ გვეჩვენებდა, რომელი ვექტორი ან ფაქტორი ახსნის კარგად მონაწილეთა განლაგებას ორდინაციულ სივრცეებში. დაშორებებს ვითვლიდით ბრეი-კურტისის ინდექსით, ხოლო მორგების მნიშვნელოვნებას ვითვლიდით რანდომიზაციის (999-ჯერ) ტესტით. ანალიზისთვის ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს (Okasanen *et al.* 2018).

მონაწილეთა კონსენსუსი (IFC) მოცემული გამოყენების კატეგორიისთვის (UC) გამოითვლებოდა როგორც გამოყენების ჩანაწერების რაოდენობას (UR) (ერთი მცენარის გარკვეული მიზნით გამოყენება) გამოკლებული ტაქსონთა რაოდენობა (t) და გაყოფილი გამოყენების ჩანაწერთა რაოდენობას გამოკლებულ 1-ზე

$$(N_{UR} - N_t) / (N_{UR} - 1)$$

სახეობები რანჟირდებოდა სამი ინდექსის მიხედვით: (i) კულტურული მნიშვნელოვნება (CI):

მონაწილეთა რიცხვი, რომლების მოცემული სახეობას ახსენებდა გამოყენების მოცემულ კატეგორიაში, გაყოფილი მონაწილეთა რიცხვზე, რომლებიც ამ სახეობას ახსენებდნენ. შემდეგია გამოყენების მრავალფეროვნება (UD), ესაა შანონის ინდექსი გამოთვლილი გამოყენების კატეგორიებისთვის. ამ გამოთვლებისთვისაც ვიყენებდით R პროგრამის პაკეტ Vegan-ს (Okasanen *et al.* 2018). ვითვლიდით ასევე გამოყენების სიდიდეს (UV): ესაა მოცემული სახეობის ჩანაწერთა ჯამი გაყოფილი გამოკითხულ მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე რეგიონში (Philips and Gentry 1993).

შედეგები

კვლევის რეგიონში აღვრიცხეთ 276 მცენარის სახეობა, რომლებიც 181 გვარსა და 88 ოჯახს ეკუთვნოდა, ასევე 3 სოკოს სახეობა კიდეც 5 სოკო, რომელთა სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა, მთლიანობაში სულ ცოტა 9 გვარის და 7 ოჯახის სოკო. აღინუსხა ასევე მღიერის 1 სახეობის გამოყენება. ამათგან, 163 სახეობა ველურად გროვდებოდა, 114 ბაღ-ბოსტანში მოყავდათ, ხოლო 18 გროვდებოდა როგორც ველურ ბუნებაში, ისე ბაღ-ბოსტანში (ცხრილი 1). ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენების კატეგორიები იყო საკვები და სამკურნალო მცენარეები. მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფების შემადგენლობა მოცემულია ცხრილ 2-ში.

მონაწილეთა მცირედ დიფერენცირდებოდა ჩაწერილი მცენარეული სახეობების მიხედვით. მცენარეების ცოდნაში განსხვავებებს ყველაზე მეტად განსაზღვრავდა სოფლის სიმაღლე ზღვის დონიდან, თუმცა ეს დამოკიდებულება საკმაოდ შეზღუდული იყო (ნახ. 2 A,B; $r^2 = 0.116$). შემდეგი ფაქტორი იყო სოფლის მდებარეობა (ნახ. 2 c; $r^2 = 0.325$). რაც შეეხება მცენარეების გამოყენებას, სხვაობები ცოტა იყო და ზღვის დონიდან სიმაღლე აღარ იყო მნიშვნელოვანი (ნახ. 2 D,E). სამაგიეროდ, სოფლის მდებარეობა მნიშვნელოვნად ხსნიდა გამოყენების კატეგორიების ორდინაციას (F, $r^2 = 0.215$). მთლიანობაში, სოფლების სიმაღლეს ზღვის დონიდან არ ჰქონდა რაიმე განმასხვავებელი მნიშვნელობა რეგიონში გამოყენებული მცენარეებზე, მაგრამ სოფლის მდებარეობა ყველაზე უკეთ ხსნიდა სხვაობებს როგორც მცენარეთა სახეობების ($r^2 = 0.7433$, $P = 0.001$) (ცხრილი 3), ისე მათი გამოყენების ($r^2 = 0.8244$, $P = 0.001$) (ცხრილი 4) ორდინაციებში.

ცხრილი 1. მცენარეების გამოყენება აჭარაში, სამეგრელოსა და ქვემო სვანეთში

მცენარის ოჯახი	ლათინური სახელი	ქართული სახელი	ადგილობრივისახელი	გამოყენება	გამოყენებული ნაწილი	მდებარეობა
Actinidiaceae	<i>Actinidia callosa</i> Lindl.	აქტინიდიას; კივი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Adoxaceae	<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი	დინჭირი	სამკურნალო, ცხოველ. საკვები	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Adoxaceae	<i>Sambucus nigra</i> L.	დიდგულა; თხიფსელა	გეყრუა; თახვანტია ჯა	სამკურნალო, ნაკეთობები	ღერო, ნაყოფი	ტყე
Adoxaceae	<i>Viburnum lantana</i> L.		თურსა	სამკურნალო	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Adoxaceae	<i>Viburnum opulus</i> L.	ძახველი	ნანწოფი	საკვები	ნაყოფი	ტყე
Agaricaceae	<i>Agaricus arvensis</i> Schaeff.	ქამა	ქოქოდლი	საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Agaricaceae	<i>Agaricus campestris</i> L.	მარქვალა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Amanitaceae	<i>Amanita caesarea</i> (Scop.) Pers.	ნიყვი		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Amaranthaceae	<i>Amaranthus retroflexus</i> L.	ჩვეულბრივი ჯიჯლაყა		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Amaranthus spinosus</i> L.	ჩვეულბრივი ჯიჯლაყა		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი; შავი ფხალი		საკვები	ფოთოლი, ფესვი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>cicla</i> (L.) Moq.	ჭარხალი	სოტოლია	საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Amaranthaceae	<i>Chenopodium album</i> L.	ნაცარქათამა; ქათამნაცარა	ჯუმენია	საკვები, ცხოველ. საკვები	ფოთოლი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium cepa</i> L.	ხახვი; ხვარხვი		საკვები	ძირხვენა, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium fistulosum</i> L.	ჭლაკვი	ჭაგვ	საკვები	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium porrum</i> L.	პრასა; პრასი		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium rotundum</i> L.	ყანის ნიორი; ჭლაკვი	სორხი; ღოღე სორხი;	საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium sativum</i> L.	ნიორი		საკვები	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
Amaryllidaceae	<i>Allium</i> sp.	ველური პრასა () მთის ლანძილი;		საკვები	ღერო	ტყე
Amaryllidaceae	<i>Allium victorialis</i> L.	ნიორა; შიშკილი; შყაჟვი ღვესუ	შიშლილ	საკვები	ყლორტი, ფოთოლი	ტყე
Amaryllidaceae	<i>Galanthus woronowii</i> Losinsk.	ვორონოვის თეთრყვავილა	ენძელა	საკვები, სამკურნალო	შირხვენა, ყლორტი	ტყე
Amaryllidaceae	<i>Narcissus</i> sp.	ნარგიზი; ნიორა		საკვები	ყვავილი	ტყე
Apiaceae	<i>Aethusa cynapium</i> L.	მცენარე ძაღლის ქინძი ()		სამკურნალო	ყლორტი	ტყე

Apiaceae	<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss.	დუცი	ღეი	საკვები	ფესვი	ტყე
Apiaceae	<i>Anethum graveolens</i> L.	ცერეცო		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Apium graveolens</i> L.	ნიახური; სონა		საკვები, სამკურნალო	ყლორტი ნაყოფითა და თესლით	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Carum carvi</i> L.	კვლიავი	გიცრულ	საკვები	თესლი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი ()		საკვები	ყლორტი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	სტაფილო		საკვები	ფესვი	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Falcaria vulgaris</i> Bernh.	კოფრჩხილა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Apiaceae	<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	დიდი კამა; კამა; ოკრუპი		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Apiaceae	<i>Heracleum apifolium</i> Boiss	დიყი		შხამიანი	ყლორტი	ტყე
Apiaceae	<i>Heracleum</i> sp.	დიყი	ჩიჩვლა	საკვები	ყლორტი	ტყე
Apiaceae	<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss	ოხრახუმი	მაკიდო; მაკინდოლი	საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Aquifoliaceae	<i>Ilex colchica</i> Pojark.	ბაძგი; ბარცხი	ჭყორი	დეკორატიული	ნაყოფი	ტყე
Araceae	<i>Arum</i> sp.	ნიუკა; ქალაკოდა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Araceae	<i>Zantedeschia aethiopica</i> (L.) Spreng.			დეკორატიული	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Araliaceae	<i>Aralia spinosa</i> L.	არალია		საკვები	ყვავილი	ბალ-ბოსტ.
Araliaceae	<i>Hedera colchica</i> (K. Koch) K. Koch	სურო		ცხოველ. საკვები, საკვები	ფოთოლი	ტყე
Aristolochiaceae	<i>Aristolochia iberica</i> Fisch. & C.A. Mey. ex Boiss.	ძირმწარა	წამალდიდი	სამკურნალო	ძირხვენა	ტყე
Asparagaceae	<i>Asparagus officinalis</i> L.			საკვები	ფოთოლი	ტყე
Asparagaceae	<i>Ornithogalum woronowii</i> Kasch	იმერული ძალღნიორა		საკვები	ძირხვენა	ტყე
Asparagaceae	<i>Polygonatum glaberrimum</i> K.Koch	სვინტრი	სკვანტილა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Asparagaceae	<i>Ruscus colchicus</i> Yeo	ძმერხლი	ზორმეხი	საკვები, ცხოველ.	ყლორტი	ტყე
Asparagaceae	<i>Scilla</i> sp.	ცისთვალა	ოლენა	საკვები	ყლორტი	ტყე
Aspleniaceae	<i>Phyllitis scolopendrium</i> (L.) Newman	ირმის ენა; პუბენა	ჩხოუშ ნინა	ვეტერინ. ცხოველ. საკვები	მთელი მცენარე, ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Artemisia dracunculus</i> L.	ტარხუნა		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Bidens tripartida</i> L.	ორკბილა	უნა ბანკარია	სამკურნალო	თესლი	ტყე
Asteraceae	<i>Centaurea iberica</i> Trevir ex Spreng.	ნარცეცხლა		კულტურული	მთელი მცენარე	ტყე
Asteraceae	<i>Cirsium vulgare</i> L.	ჩვეულეზრივი ნარი	ქვაცხაცხი	საკვები	ყვავილი	ტყე

Asteraceae	<i>Crepis</i> sp.			საკვები	ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Helianthus annuus</i> L.	მზესუმზირა		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Helianthus tuberosus</i> L.	მინავაშლა; მინის ვაშლი		საკვები, სამკურნალო	ძირხვენა	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Helichrysum graveolens</i> (M. Bieb.) Sweet	ნეგო		სამკურნალო	ყვავილი, ფოთოლი, ღერო	ტყე
Asteraceae	<i>Lactuca sativa</i> L.	სალათა; სალათის ფოთლები		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Lapsana communis</i> L.	ფურფურა	ბურტყილა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Petasites albus</i> (L.) Gaertn.	ბურა; ბურღუ	დიღმა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ფესვი	ტყე
Asteraceae	<i>Pyrethrum</i> sp.	გვირილა	ქამენია	სამკურნალო	ყვავილი	ტყე
Asteraceae	<i>Senecio pojarkovae</i> Schischk.	პოიარკოვას თავყვითელა	სისვლა	სამკურნალო	მთელი მცენარე	ტყე
Asteraceae	<i>Siegesbeckia orientalis</i> L.	ბირკალუა	ბანკარია	სამკურნალო	თესლი	ტყე
Asteraceae	<i>Solidago canadensis</i> L.	ყვავილწვრილა	ძიძო	საკვები, სარეველა	ყვავილი	ტყე
Asteraceae	<i>Tagetes patula</i> L.	იმერული ზაფრანა; ყვითელი ყვავილი	ჭითაპირი	საკვები	ყვავილი, თესლი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Taraxacum officinale</i> Wigg.	ბაბუნჯერა	თუნთიშ ქები	საკვები, სამკურნალო	ყვავილი	ტყე, ბალ-ბოსტ.
Asteraceae	<i>Tussilago farfara</i> L.	ვირისტერფა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Asteraceae	<i>Xanthium strumarium</i> L.	ლორის ბირკა	ბანკარია	სამკურნალო	თესლი	ტყე
Balsaminaceae	<i>Impatiens balsamina</i> L.	ბალის ინა; ინა		კულტურული ნაკეთობები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Balsaminaceae	<i>Impatiens balsamina</i> L.				ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Begoniaceae	<i>Begonia rex</i> Putz.	ბეგონია; ბატიბუტი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Berberidaceae	<i>Berberis vulgaris</i> L.	კონახური ('); ჩვეულებრივი კონახური მურყანი;		საკვები, სამკურნალო	ნაყოფი	ბალ-ბოსტ., ტყე
Betulaceae	<i>Alnus barbata</i> C.A. Mey.	ჩვეულებრივი მურყანი;	თხომ; თხუმე	სამკურნალო, ნაკეთობები	ნაყოფი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტ.
Betulaceae	<i>Alnus glutinosa</i> subsp. <i>barbata</i> C.A.Mey. Yalt.	ჩვეულებრივი მურყანი		ნაკეთობები	ღერო, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Betulaceae	<i>Betula litwinowii</i> Doluch.	თეთრი არყი	ჭყერია	ნაკეთობები	ყლორტი	ტყე

Betulaceae	<i>Betula medwediewii</i> Regel	მეღვედევის არყი		ნაკეთობები	ყლორტი	ტყე
Betulaceae	<i>Betula</i> sp.	არყი	გვალაში ბული	საკვები, სამკურნალო	წვენი, ფოთოლი	ტყე
Betulaceae	<i>Carpinus betulus</i> L.	ევროპული რცხილა; ცხემლა; ცხიმური; ცხემური		ნაკეთობები	ღერო	ტყე
Betulaceae	<i>Corylus avellana</i> L.	ჩვეულებრივი თხილი; თხირი		საკვები, ნაკეთობები	თესლი, ყვავილი, ყლორტი, ღერო	ბალ-ბოსტ., ტყე
Betulaceae	<i>Corylus pontica</i> K. Koch.	თხილი		საკვები, ნაკეთობები	თესლი, ყვავილი, ყლორტი, ღერო	ბალ-ბოსტ., ტყე
Betulaceae	<i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	უხრაგი		ნაკეთობები	ღერო	ტყე
Bignoniaceae	<i>Catalpa bignonioides</i> Walter	კატალპა; ლობიოს ხე		ნაკეთობები	ღერო	ბალ-ბოსტ.
Boletaceae	<i>Boletus edulis</i> Bull.	დათვა სოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Boletaceae	<i>Leccinum scabrum</i> (Bull.) Gray	დედაბერა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Boraginaceae	<i>Symphytum caucasicum</i> M. Bieb.	ლაშქარა	მელენი	სამკურნალო	ფესვი	ტყე
Brassicaceae	<i>Armoracia rusticana</i> (G. Gaertn.) B. Mey. & Scherb.	პირშუშხა; ხრენი		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica juncea</i> (L.) Czern.	სარეპტის მდოგვი	დონგი	საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica oleracea</i> L.	კომბოსტო		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica oleracea</i> L. var. <i>gongylodes</i>	კოლრაბი; ხვითი	კეჟერა ფხალი; ხული	საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica rapa</i> L. subsp. <i>rapifera</i> Metzger	თალგამი; ბოლოკი		საკვები	ფესვი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Brassica montana</i> Pourr.		; ხული	საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Lepidium sativum</i> L.	წინმატი		სამკურნალო	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Raphanus raphanistrum</i> subsp. <i>sativus</i> (L.) Domin	თვის ბოლოკი	რედისკა	საკვები	ფესვი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i>	ბოლოკი (')		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Brassicaceae	<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i>	მთის ბოლოკი		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Buxaceae	<i>Buxus colchica</i> Pojark.	ბზა; ბზაკალი		ნაკეთობები	ღერო	ტყე
Cactaceae	<i>Opuntia</i> sp.	ოპუნცია	გორდის ყვავილი	სარეველა	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Campanulaceae	<i>Campanula alliariifolia</i> Wild.	ბუსკანტურა	სკვანტილა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Campanulaceae	<i>Campanula glomerata</i> L.	დილხამი	ჭარბადელო	საკვები	ფოთოლი	ტყე
Campanulaceae	<i>Campanula lactiflora</i> M. Bieb.	კენკეშა	დონდოლო	საკვები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Cannabaceae	<i>Cannabis sativa</i> L.	კანაფი; ქანა		საკვები, ნაკეთობები	თესლი	ბალ-ბოსტ.

Caryophyllaceae	<i>Silene wallachiana</i> Klotzsch	ჭყიპანტა	სატკეცელა	საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Celastraceae	<i>Euonymus europaeus</i> L.	ევროპული ჭანჭყატი	კამფურის ხე	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Commelinaceae	<i>Commelina communis</i> L.	ტყის ჭორტანა	მაფათია	სარეველა	ყვავილი	ბალ-ბოსტ., ტყე
Convolvulaceae	<i>Calystegia sepium</i> (L.) R. Br.	დიდი ხვართელა; ფუტია	ნახერწელ	სამკურნალო	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Convolvulaceae	<i>Convolvulus arvensis</i> L.	ხვართელა		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Cornaceae	<i>Cornus mas</i> L.	შინდი	ბძგირი	საკვები	ნაყოფი	ტყე
Crassulaceae	<i>Sedum acre</i> L.	მწვავე ფუნთუმა	საყმანვილოს წამალი	სამკურნალო	მთელი მცენარე	ტყე
Cucurbitaceae	<i>Citrullus lanatus</i> (Thunb.) Matsum. & Nakai	ჩვეულებრივი საზამთრო		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucumis melo</i> L.	ნესვი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი; კინტირი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucurbita maxima</i> L.	მსხვილი გოგრა	ქესტანა	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucurbita pepo</i> L.	აყირო; გოგრა; ხოკერა გოგრა	ჭურა; კოპეშია; ნაბლა ხაპი; ხაპი_	საკვები	ნაყოფი, თესლი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucurbita pepo</i> L. var. <i>giromontia</i>	ყაბაყი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cucurbitaceae	<i>Cucurbita</i> sp.	ხაპი ()	ნაბლა ხაპი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Cupressaceae	<i>Juniperus</i> sp.	ღვია	ნეზუს ნარჩენი; ოდალაჯი	სამკურნალო, კულტურული	ქერქი, ყლორტი	ტყე
Cyperaceae	<i>Cyperus badius</i> Poir.	წამალწვრილი		სამკურნალო	ყლორტი	ტყე
Dennstaedtiaceae	<i>Pteridium tauricum</i> V.I. Krecz.	ენრის გვიმრა; ენერი		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Dioscoreaceae	<i>Tamus communis</i> L.	ძაღლის სატაცური	ლემშური	სამკურნალო	ყლორტი	ტყე
Dryopteridaceae	<i>Dryopteris filix-mas</i> (L.) Schott.	ჩადუნა	გვრიმბ	საკვები	ფოთოლი	ტყე
Ebenaceae	<i>Diospyros lotus</i> L.	იაპონური ხურმა; ჩვეულებრივი ხურმა	მარსინაია	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ., ტყე
Ebenaceae	<i>Diospyros</i> sp.	ხურმა	ალიაღა	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Ebenaceae	<i>Diospyros virginiana</i> L.	ვირჯინიული ხურმა; ხურმა		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Equisetaceae	<i>Equisetum arvense</i> L.	შვიტა	თუნთიშ ქემი	სამკურნალო	ყლორტი	ტყე
Equisetaceae	<i>Equisetum telmateia</i> L.	შვიტა		სამკურნალო	ყლორტი	ტყე
Ericaceae	<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	მაღალი მოცვი; მოცვი მაღალი	მეგმულდ; ცინყა; მელიშია	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
Ericaceae	<i>Vaccinium myrtillus</i> L.	ბალის მარწყვი; მოცვი	მინდორიში მელიშია; მეგმულდ	საკვები	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
Ericaceae	<i>Vaccinium</i> sp.	მოცვი	მელიშია	საკვები	ნაყოფი	ტყე
Ericaceae	<i>Vaccinium uliginosum</i> L.	ლურჯი მოცვი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.

Euphorbiaceae	<i>Euphorbia</i> sp.	რძიანა	მაბჟალია	ცხოვ. საკვები, საკვები	ყლორტი, ფოთოლი	ტყე
Fabaceae	<i>Albizzia julibrissin</i> Durazz.	ლენქორანული ალბიცია	მალურია	ნაკეთობები	ღერო	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Galega orientalis</i> Lam.	ხობშუბლა		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Fabaceae	<i>Glycine max</i> (L.) Merr.	სოია; მუხუდო		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Lathyrus roseus</i> Steven	არჯაკელი	ზერჩო	საკვები	ფოთოლი	ტყე
Fabaceae	<i>Onobrychis</i> sp.	ესპარცეტი		ცხოველ. საკვები, საკვები	ნორჩი ყლორტი, მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Phaseolus sativus</i> L.	ლობიო; ძირის ლობიო; ჩვეულებრივი ლობიო	ლებია	საკვები	თასლი, ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Pisum sativum</i> L.	მინდვრის ბარდა	ცერცვი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Robinia pseudoacacia</i> L.	აკაცია; ეკლის ხე; ცრუაკაცია		მშენებლობა, ნაკეთობები, საკვები	ღერო, ყვავილი, ნორჩი ყლორტი	ბალ-ბოსტ., ტყე
Fabaceae	<i>Trifolium</i> sp.	სამყურა		ცხოვ. საკვები, საკვები	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	ულუმბო; შამბრიკა	უცხო სუნელი	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fabaceae	<i>Vicia faba</i> L.	ცერცვი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Fagaceae	<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	რცხილა		შეშა, ნაკეთობები	ღერო	ტყე
Fagaceae	<i>Castanea sativa</i> Mill.	ჩვეულებრივი წაბლი; წაბლი	გვიჯ; ჭუბური	საკვები, ნაკეთობები, მშენებლ.	ღერო	ტყე
Fagaceae	<i>Fagus orientalis</i> Lipsky	აღმოსავლური წიფელი; წიფელი; წიფელა	წიფური	საკვები, ნაკეთობები	ღერო, თესლი	ტყე
Fagaceae	<i>Quercus dschorochensis</i> C. Koch	ჭოროხის მუხა		სამკურნალო, ნაკეთობები	ქერქი, ყლორტი	ტყე
Fagaceae	<i>Quercus iberica</i> M. Bieb.	მუხა		მშენებლობა, ნაკეთობები	ღერო	ტყე
Fungi		გუნი ნიჩგ		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		თიკნიყურა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		პილპილა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		ტეტრისოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე

Fungi		ტვანასოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		ფიჭვა სოკო		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		ცხვარა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Fungi		ხეთამხალი		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Gentianaceae	<i>Centaurium erythraea</i> Rafn.	ასისტავა		სამკურნალო	ფოთოლი, ყვავილი	ტყე
Gentianaceae	<i>Gentiana cruciata</i> L.	ნალველა	ასისტავა	სამკურნალო	ყლორტი	ტყე
Gentianaceae	<i>Gentiana septemfida</i> Pall.	ნალველა		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Geraniaceae	<i>Geranium robertianum</i> L.	ნემსინვერა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Grossulariaceae	<i>Ribes grossularia</i> L.		ოფლენდ	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Grossulariaceae	<i>Ribes nigrum</i> L.	მოცხარი		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Grossulariaceae	<i>Ribes rubrum</i> L.	ჩვეულებრივი მოცხარი; მთის ყურძენი	მერცხალა; ჩხარაზი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ., ტყე
Guttiferae	<i>Hypericum</i> sp.	კრაზანა	მუუაში ოსური	სამკურნალო	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Helleboraceae	<i>Helleborus caucasicus</i> R. Br.	ხარისძირა; ხარძენი	წიმწარ	ვეტერინ.	ღერო, მთელი მცენარე	ტყე
Iridaceae	<i>Crocus sativus</i> L.	ზაფრანა ეკლის ხე;		საკვები	ყვავილი	ბალ-ბოსტ.
Juglandaceae	<i>Juglans regia</i> L.	ჩვეულებრივი კაკლის ხე; ნიგოზი	ცრუაკაცია; კაკალი	საკვები, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ბალ-ბოსტ.
Juglandaceae	<i>Pterocarya pterocarpa</i> (Michx.) Kunth ex Iljinsk.	ლაფანი	ლეფონი	შხამიანი, ნაკეთობები	ფოთოლი, ყლორტი	ტყე
Lamiaceae	<i>Glechoma hederacea</i> L.	ომოშა , ომოშია		სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Lamiaceae	<i>Lamium album</i> L.	ჭინჭრისდედა (")		საკვები	ფოთოლი	ტყე
Lamiaceae	<i>Mentha aquatica</i> L.	ტენცო		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Mentha longifolia</i> (L.) L.	ტყის პიტნა			ფოთოლი, ყლორტი	ბალ-ბოსტ., ტყე
Lamiaceae	<i>Mentha pulegium</i> L.	ომბალო	ყვალმინთა	საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Mentha x piperita</i> L.	ბალის პიტნა; პიტნა		საკვები	ყლორტი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Ocimum basilicum</i> L.	რეჰანი	სამშურე; შამკვლავი	საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Ocimum basilicum</i> var. <i>purpurascens</i> Benth.	რეჰანი	წითელი რეჰანი	საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Satureja hortensis</i> L.	ქონდარი ბალისა		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Lamiaceae	<i>Satureja laxiflora</i> K. Koch	ტყის ქონდარი		საკვები, სამკურნალო	ყლორტი, ფოთოლი	ტყე
Lamiaceae	<i>Satureja spicigera</i> (C. Koch) Boiss.	ონჭო ; ომბალო	ჭვინი; ჭვინ	საკვები, სამკურნალო	ყლორტი, ფოთოლი	ტყე
Lauraceae	<i>Laurus nobilis</i> L.	დაფნა		საკვები	ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Liliaceae	<i>Lilium</i> sp.	დათვისკიტრა (")		საკვები	ფოთოლი	ტყე

Lythraceae	<i>Punica granatum</i> L.	ბროწეული; ბერწეული		საკვები, სამკურნალო	ნაყოფი	ტყე
Malvaceae	<i>Malva neglecta</i> L.	ბალბა; მოლოქა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Malvaceae	<i>Malva</i> sp.	ბალბა; მოლოქა		საკვები	ყლორტი	ბალ-ბოსტ.
Malvaceae	<i>Malva sylvestris</i> L.	ბალბა; მოლოქა		საკვები	ფოთოლი	ტყე
Malvaceae	<i>Tilia caucasica</i> Rupr.	ცაცხვი; კავკასიური ცაცხვი	ცხაცხუ	საკვები, ნაკეთობები	ღერო, ქერქი, ყვავილი, ფოთოლი	ტყე
Melanthiaceae	<i>Veratrum lobelianum</i> Bernh.	შხამა		ვეტერინ.	ფოთოლი	ტყე
Moraceae	<i>Ficus carica</i> L.	ლეღვი	ლული	საკვები, სამკურნალო	ნაყოფი, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Moraceae	<i>Morus alba</i> L.	თუთა	ჟოლი	საკვები, ნაკეთობები	ნაყოფი, ღერო	ბალ-ბოსტ., ტყე
Moraceae	<i>Morus nigra</i> L.	ხართუთა	ჟოლი	საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Myrtaceae	<i>Acca sellowiana</i> (O. Berg.) Burret	ფეიხთა		საკვები	ნაყოფი	ბალ-ბოსტ.
Myrtaceae	<i>Eucalyptus saligna</i> Sm.	ევკალიპტი		მშენებლ., სამკურნალო	ღერო, ფოთოლი	ბალ-ბოსტ.
Oleaceae	<i>Fraxinus oxycarpa</i> M. Bieb. ex Willd.	იფანი; კოპიტი	მეჯოორლა	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Onocleaceae	<i>Mattheuccia struthiopteris</i> (L.) Todd.	ჩადუნა	გვიმრა	ცხოველ. საკვები,	ფოთოლი	ტყე
Orobanchaceae	<i>Pedicularis</i> sp.	სატილია	კიტრაფურცელა	საკვები	ფოთოლი	ტყე
Papaveraceae	<i>Chelidonium majus</i> L.	ქრისტესისხლა	ნანიფუ	ვეტერინ., სამკურნალო	ლატექსი	ტყე
Parmeliaceae	<i>Usnea barbata</i>	უსნეა	ბაბუნჯერა	ცხოველ. საკვები, საკვები	მთელი მცენარე	ტყე
Paulowniaceae	<i>Paulownia tormentosa</i> (Thunb.) Steud.	პავლოვნია	ადამიშ ჭა	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Physalacriaceae	<i>Armillariella mellea</i> (Vahl) P. Kumm	მანჭკვალა		საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Phytolaccaceae	<i>Phytolacca americana</i> L.	ჭიაფერა	ფერვა; ჯამფეზია	სამკურნალო, ნაკეთობები	ქერქი, ფესვი	ტყე
Pinaceae	<i>Abies nordmanniana</i> (Steven) Spach	კავკასიური სოჭი; სოჭი	ნეზუ; ნეზვრა	ნაკეთობები	ღერო	ტყე
Pinaceae	<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	აღმოსავლური ნაძვი; ნაძვი	ნეზუ; ტახრა	სამკურნალო, ნაკეთობები, მშენებლ.	ღერო, ფოთოლი	ტყე
Pinaceae	<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი (')		მშენებლ.	ღერო	ტყე


Pinaceae	<i>Pinus sosnowskyi</i> Nakai	კავკასიური ფიჭვი	გები; კატარი	სამკურნალო, ნაკეთობები, მშენებლ.	ღერო	ტყე
Plantaginaceae	<i>Plantago major</i> L.	მრავალძარღვა;	მაჯარღვია	სამკურნალო, ნაკეთობები	ფოთოლი, ფესვი	ტყე
Plantaginaceae	<i>Valeriana officinalis</i> L.	კატაბალახა		სამკურნალო	ფესვი	ტყე
Plantaginaceae	<i>Veronica anagalis</i> L.	ჩიანდარი	ჭიანდარი	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Pleurotaceae	<i>Pleurotus ostreatus</i> (Jacq. ex Fr.) P. Kumm	კალმახა; ხის სოკო	ტყუბულ	საკვები	ნაყოფსხეული	ტყე
Poaceae	<i>Agropyron repens</i> (L.) P. Beauv.	კაპუეტა	წელა	ცხოველ. საკვები, საკვები	მთელი მცენარე	ტყე
Poaceae	<i>Digitaria</i> sp.	მწყერფება	ჭყოჭყოტი	ცხოველ. საკვები, საკვები	მთელი მცენარე	ტყე
Poaceae	<i>Festuca djimilensis</i> Boiss. & Balansa	თომი	წერეჭვი	ნაკეთობები	ყლორტი	ტყე
Poaceae	<i>Hordeum vulgare</i> L.	ქერი		ცხოველ. საკვები, საკვები	ყლორტი, მთელი მცენარე, თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Oplismenus undulatifolius</i> (Ard.) P. Beauv.	მჭადა		დეკორატიული	მთელი მცენარე	ტყე
Poaceae	<i>Panicum milanjanum</i> Rendle	ფეტვი		საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Setaria italica</i> (L.) P. Beauv.	ლომი	ღუმეშ ღუმე	საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Setaria viridis</i> (L.) P. Beauv.	მწვანე ძურწა		ცხოველ. საკვები, საკვები	თესლი, მთელი მცენარე	ტყე
Poaceae	<i>Triticum</i> sp.	ხორბალი	ქობალი	საკვები, საკვები	თესლი	ბალ-ბოსტ.
Poaceae	<i>Zea mays</i> L.	სიმინდი	ლატი	ცხოველ. საკვები, სამკურნალო	თესლი, ნორჩი ყლორტები, მტვრიანები	ბალ-ბოსტ.
Polygonaceae	<i>Persicaria maculosa</i> Gray	ბოსტნის წალიკა	სარდაკია	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Polygonaceae	<i>Polygonum aviculare</i> L.	ჩვეულებრივი მათიტელა	გველიში ლაკარტი	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Polygonaceae	<i>Polygonum carneum</i> C. Koch	დვალურა		საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ფესვი	ტყე
Polygonaceae	<i>Polygonum hydropiper</i> L.	წალიკა	სარდაკია	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე
Polygonaceae	<i>Polygonum panjutini</i> Kharkev.	პანიუტინის მათიტელა	ვერდელი	საკვები	ყლორტი	ტყე
